პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 179 (4173)

1970 წ. 12 სექტემბერი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## პროფკავშირელ სპორტსმენთა დიდი ფორუმის წინ

გაისად გაიმართება საქართველოს პროფკავშირების ზამთრის III სპარტაკიადა. ამ საინტერესო სპორტული ღონისძიების მიზანია მშრომელთა შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, ახალგაზრდობის ფართო ფენების მიზიდვა ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში, სპორტის ზამთრის სახეობებში შედეგების შემდგომი ამაღლება, ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლინება და პროფკავშირების VII საკავშირო ზამთრის სპარტაკიადისთვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების დაკომპლექტება და მომზადება.

ამ დიდი სპორტული ღონისძიებისთვის უკეთ მოსამზადებლად საქართველოს პროფსაბჭოსთან შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი. გუშინ შედგა ამ კომიტეტის პირველი სხდომა, სადაც ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ცანავა.

სხდომის მსვლელობისას აზრი გამოთქვეს სპორტსაზოგადოებათა თავმჯდომარეებმა ი. ზოჰორიძემ („განთიადი"), ვ. ელენტმა („კოლმეურნე"), გ. ცქიტიშვილმა („ბურევესტნიკი"), „ლოკომოტივის" თავმჯდომარის მოადგილემ თ. კაჭახიძემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დ. იოსელიანმა, ი. ბაცელაშვილმა (საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო), ფ. ნავერიანმა (ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი) და სხვ.

საორგანიზაციო კომიტეტის პირველ სხდომაზე საუბარი იყო, აგრეთვე, პროფკავშირულ-კომკავშირული საშემოდგომო მძლეოსნური კროსის ჩატარების თაობაზე.

### დღეს გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

◆ ზიგენი, 11 სექტემბერი. მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადაში საბჭოთა ნაკრებმა ახალ წარმატებას მიაღწია: VI ტურში დაამარცხა საბერძნეთის გუნდი — 2,5:0,5 (1 პარტია გადაიდო). დანარჩენი შეხვედრები ამ ჯგუფში ასე დამთავრდა: პოლონეთი — მონაკო 4:0, ავსტრალია — პერუ 4:0. 3:0 — ასე დაწინაურდნენ ესპანელები ფარერის კუნძულების წარმომადგენლებთან, ხოლო ტუნისელები — დომინიკანის რესპუბლიკის გუნდთან ბრძოლაში (თითო პარტია გადადებულია). გელერმა თამაშის განუახლებლად დათმო წინადღით პოლონელ ოსტატ ბედნარსკისთან დაუმთავრებელი პარტია. ამრიგად, ამ მატჩის საბოლოო ანგარიშია 3:1 სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ. 6 ტურის შემდეგ ჯგუფებში მოწინავეთა შორის ასეთი მდგომარეობაა: I. სსრ კავშირი, ესპანეთი — 19,5-19,5 ქულა (თითო გადადებული პარტია), ავსტრალია — 17,5, პოლონეთი — 16,5, ტუნისი — 14,5 (1); II. იუგოსლავია — 19,5 (2); III. აშშ — 22; IV. უნგრეთი — 18 (2); V. ჩეხოსლოვაკია — 18 (2); VI. ბულგარეთი, გფრ — 19-19. ჯგუფებში ჩასატარებელი დარჩა 3-3 ტური.

თბილისის სპორტული ნაწარმის ფაბრიკაში გ. აბულაძე ერთ-ერთი პირველთაგანი დადგა სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე.



სურათზე: ბურთების საამქროს მკერავი გ. აბულაძე.

ვ. გოგაძის ფოტო.

### ახალი ამბები

● მოსკოვი, 10 სექტემბერი. გუშინ აქ დაიწყო სსრ კავშირის XXV ჩემპიონატი ჰოკეიში. პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და გორკის „ტორპედო". გაიმარჯვეს არმიელებმა — 6:2. დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია დედაქალაქის გუნდების — „სპარტაკისა" და „კრილია სოვეტოვის" უაღრესად მწვავე და დაძაბულმა ბრძოლამ. თამაში დამთავრდა ფრედ — 4:4. წლევანდელი ჩემპიონატი ახალი რეგლამენტით — ხუთ წრედ ტარდება. დაწესებულია ახალი პრიზიც: გაზეთ „ტრუდისა" — ბომბარდირთა საუკეთესო სამეულისთვის. ამ ნიდავლის მოპოვების პირველი კანდიდატია არმიელთა სამეული: ბლინოვი — პოლუპანოვი — ვიკულოვი. მათ 3 შაიბა გაიტანეს.

● პარიზი, 10 სექტემბერი. საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს იუნიორ ხუთჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც პარიზის მახლობლად ფონტენბლოში ჩატარდა. მათ 15.144 ქულა დააგროვეს. II ადგილი დაიკავეს უნგრეთის ხუთჭიდელებმა — 14.984, III — ჩემპიონატის მასპინძლებმა — 13.945. პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგით გაიმარჯვა უნგრელმა ვილანიიმ — 5.262. პ. გორლოვმა (სსრ კავშირი) ვერცხლის მედალი მოიპოვა. იგი ლიდერს 129 ქულით ჩამორჩა.

● ბლედი, 10 სექტემბერი. მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც იუგოსლავიის ამ ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქის მიდამოებში ტარდება, 28 ქვეყნის 200-ზე მეტმა პარაშუტისტმა მოიყარა თავი. შეჯიბრება 7 სექტემბერს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ იმ დღესაც და მეორე დღესაც პარაშუტისტები ამაოდ ელოდნენ ამინდს. მთავარი დაბრკოლება გამოდგა ძლიერი ქარი, რომლის დროსაც პირველი ვარჯიშის — 2000 მეტრიდან აკრობატული ფიგურების შესრულებით ხტომაში შეჯიბრების ჩატარება შეუძლებელი იყო. მაშინ ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს შეჯიბრება დაეწყოთ მეორე ვარჯიშით: 1000 მეტრიდან დაშვების სიზუსტეზე ხტომით. ყოველი მონაწილე ოთხჯერ უნდა გადმომხტარიყო. მაგრამ უამინდობის გამო არც ამ შეჯიბრების ჩატარება მოხერხდა. ჯერჯერობით პარაშუტისტების უმეტესობამ ორჯერ, ზოგმა კი სამჯერ გადმოხტომა მოასწრო. საბჭოთა სპორტსმენები თავიანთ შესაძლებლობებზე სუსტად გამოდიან. ქალთა გუნდურ ჩათვლაში წინ არიან ჩეხოსლოვაკიის, ვაჟებში — აშშ-ს პარაშუტისტები.

## ლარსენმა თანაგუნდელები გაანბილა

ზიგენი, 10 სექტემბერი. აქ მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადაში სსრ კავშირის ნაკრებმა კიდევ 3 ქულა მოიპოვა: V ტურში მან ანგარიშით 3:0 (1 პარტია გადაიდო) სძლია პოლონელთა კოლექტივს.

V ტურში ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი აღმოჩნდა IV ჯგუფის მონაწილე უნგრეთისა და დანიის გუნდების შეხვედრა. უნგრელებმა უკვე გაინაღდეს გამარჯვება — 2,5:0,5 (1 პარტია გადაიდო). ამ გუნდების ლიდერების ლ. პორტიშისა (უნგრეთი) და ბ. ლარსენის შეხვედრაში 22 სვლაში იმარჯვა უნგრელმა დიდოსტატმა. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ლარსენი „თავის სტილში" მოქმედებდა, როცა უჩვეულო დასაწყისი გაითამაშა. ამ მარცხის შემდეგ დანიელების ფინალში გასვლის შანსი სათუო გახდა.

### დღეს გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო... 19⁴⁵

◆ ბარსელონა, 11 სექტემბერი. ევროპის ჩემპიონატში მოასპარეზე რ. მათესმა (გდრ) დაიბრუნა მსოფლიო რეკორდი 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში — წინასწარ შეჯიბრებაში ეს მანძილი 2 წუთსა და 6,1 წამში დაფარა. ეს შედეგი 0,2 წამით სჯობს აშშ-ს ჩემპიონატში (ლოს-ანჯელესი) ამ სამი კვირის წინათ ამერიკელი მ. შტამის მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.

## ცეცხლის ხაზზე

### წარმატება პლზენში

პლზენი, 10 სექტემბერი. მეგობრული არმიების ტყვიის მსროლელთა ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა დიდი ოსტატობა გამოავლინეს. მათ ვარჯიშების უმეტესობაში I ადგილები დაიკავეს და საერთო გუნდური გამარჯვება დაისაკუთრეს.

სსრ კავშირის წარმომადგენლებმა მოიპოვეს ძალიან მაღალი შედეგები, რომელთა ნაწილიც მსოფლიო რეკორდებს სჯობს.

II ადგილზე გავიდა პოლონეთის ნაკრები, III — ჩეხოსლოვაკიის გუნდი. შემდეგ ადგილებზე არიან უნგრეთისა და გდრ-ის კოლექტივები.

ასპარეზობის ბოლო დღეს კალინინელმა ვ. ეჟოვმა ყველას აჯობა არმიული შაშხანით (3×20) სროლაში — 550 ქულა. საბჭოთა გუნდი ამ ვარჯიშში მეორე იყო — 2156. პირველობა მოიგო უნგრეთის ნაკრებმა — 2169.

მსხვილკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში საბჭოთა სნაიპერები საუკეთესონი აღმოჩნდნენ როგორც პირად (ბაქოელი ა. სპივაკოვი — 587), ისე გუნდურ (2334) ჩათვლაში.

### ქულას გამარჯვება მოაქვს

ბუქარესტი, 9 სექტემბერი. სსრ კავშირის მესტენდურეთა გუნდი ევროპის ჩემპიონია ადგილიდან სროლაში. რუმინეთის დედაქალაქში დღეს მან საუკეთესო შედეგი მოიპოვა — 571 ქულა 600 შესაძლებლიდან. II ადგილი დაიკავა იტალიის ნაკრებმა, რომელიც გამარჯვებულს სულ ქულით ჩამორჩა. მესამე პრიზიორია გფრ-ის გუნდი — 568 ქულა.

სსრ კავშირის ნაკრებში გამოდიოდნენ მოსკოველები პ. სენიჩევი, ა. ალიპოვი, ო. კულაკოვი, აგრეთვე, ვილნიუსელი ო. ვასილევი.

გუნდის ჩათვლაში შედიოდა ოთხიდან ყოველი სპორტსმენის მიერ 150 სამიზნეზე სროლაში ნაჩვენები შედეგები.

ორი დღის ბრძოლის შემდეგ ინდივიდუალურ შეჯიბრებაში წინაა ალიპოვი — 146 ქულა.

### მოსკოველი ჩემპიონი

ბუქარესტი, 10 სექტემბერი. ევროპის წლევანდელი ჩემპიონობის ბედი დამატებით შეჯიბრებაში გადაწყდა: მოსკოველმა ა. ალიპოვმა და გამოცდილმა ფრანგმა მსროლელმა მ. კორეგამ 200-დან 195-195 ქულა დააგროვეს. და აი, მათ ძალის გამოსაცდელად მიეცათ კიდევ 25-25 სამიზნე. კორეგამ ერთხელ ააცდინა და II ადგილზე დარჩა. მოსკოველი უშეცდომოდ ისროდა.

ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოდნენ იტალიელები როზატი, ბაზანი, ჯიანი, გდრ-ის წარმომადგენელი ზაისლერი (200-დან 194 ქულა). ორ სერიაში უშეცდომოდ ისროდა ჯიანი და მედალიც მას ხვდა.

ქალებში პირველობდა დასავლეთგერმანელი სპორტსმენი გ. სოდენი — 150-დან 140 ქულა. II და III ადგილები დაიკავეს საბჭოთა მესტენდურეებმა ლ. სიდოროვამ (136) და ვ. გერასინამ (134).

### საკითხი გასარკვევია

# სპარტაკიადა — მთავარი საზრუნავი

გაიმართა ქობულეთის რაიონის V სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. ინფორმაციით გამოვიდა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ი. მჟავანაძე.

სპარტაკიადის პირველი ეტაპი დასასრულს უახლოვდება. იგი წარმატებით მიმდინარეობს რაიონის ფიზკულტურულ კოლექტივებში — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო საწარმოებში...

სექტემბრის დამლევს მოეწყობა რაიონული სპარტაკიადა სპორტის შვიდ სახეობაში. კომპლექტდება ნაკრები გუნდები, რომლებსაც წვრთნიან კვალიფიციური მწვრთნელები და სპეციალისტები.

მაგრამ არის ხელშემშლელი მიზეზებიც. აჭარის ასსრ განათლების სამინისტრომ მარშან ბავშვთა სპორტსკოლაში შექმნა კალათბურთისა და ფრენბურთის სექციები და მათს ხარჯზე ველოსპორტის ორი სექცია გახსნა. ეს მაშინ, როცა ველოსპორტი არც საოლქო და არც მოსწავლეთა სპარტაკიადების პროგრამაში არ არის შეტანილი. ყოველივე ეს, ცხადია, ხელს უშლის რაიონის ფრენბურთელთა და კალათბურთელთა მზადებას სპარტაკიადისთვის. ისიც უნდა ითქვას, რომ ფიზკულტურელები განიცდიან სპორტული ფორმისა და ინვენტარის ნაკლებობას.

სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. წულუკიძე, გაზეთ „ლენინელის“ რედაქტორი ა. დოლიძე, შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ი. ნიკოლაიშვილი, ნაკრები გუნდების მწვრთნელები დ. ბაჯელიძე, ე. მელკოვი, ა. ქანთარია და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ა. გოგიტიძე.

სხდომის მუშაობა შეაჯამა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ბეჟანიძემ.

მიღებულია [illegible] რეობის გა[illegible] ონის ნაკრები გუნდების [illegible] დებლად რაიონულ და საოლქო სპარტაკიადებში წარმატებით გამოსვლისთვის.

**ლ. ტრაპაიძე.**

ქობულეთი. (ჩვენი კორ.).

# თინათინის კიდევ ორი მედალი

ბარსელონა, 10 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ. ა. ერმაკოვი). თითქოს წესად იქცა, რომ სამი „ოქროს ადგილის“ შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებს ბრინჯაო ხვდებოდათ წილად. ოთხშაბათს ეს ტრადიცია დაირღვა: სსრ კავშირის ქალთა გუნდი 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში მეორე აღმოჩნდა. თ. ლეკვეიშვილისა (გულაღმა ცურვა) და გ. სტეპანოვას (ბრასი) შემდეგ მეტოქეებს რამდენიმე მეტრს ვუდებდით. წინ იყო ვ. ვახკევიჩიც (ბატერფლაი). 15 წლის ტ. ზოლოტნიცკაია (თავისუფალი სტილი) თავს არ ზოგავდა, მაგრამ უნდა გენახათ, როგორ ცურავდა ევროპის რეკორდსმენი, გდრ-ის წარმომადგენელი გ. ვეცკო, რომელიც 58,2 წამის შემდეგ ფინიშთან პირველი მივიდა. მეორე იყო ზოლოტნიცკაია, რომელმაც ეტაპზე მეშვიდე შედეგი (1.01,9) აჩვენა.

გდრ-ის გუნდმა გაიმარჯვა ევროპის ახალი რეკორდით — 4.30,1. საბჭოთა გუნდმა დაამყარა ეროვნული რეკორდი — 4.31,3.

ჩემპიონატის დღე ისე არ გავა, რომ გდრ-ის მოცურავეებმა თავი არ გამოიჩინონ. ოთხშაბათს მსოფლიო რეკორდსმენმა გულაღმა ცურვაში რ. მატესმა 100 მეტრზე და მარტინა გრიუნერტმა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ოქროს მედლები მოიგეს.

ბარსელონელი სპორტის მოყვარულები ყოველდღე ახალი სიურპრიზის მოწმენი ხდებიან. მაგალითად, ევროპის საუკეთესო მოცურავეთა ათეულებში არ არის უ. ბიურელი. ამ ინგლისელმა გოგონამ კი 9 სექტემბერს წინასწარ შეჯიბრებაში კონტინენტის ახალი რეკორდი დაამყარა, როცა 200 მ გულაღმა 2 წუთსა და 26,2 წამში დაფარა. თ. ლეკვეიშვილი ფინალში ახალი საკავშირო რეკორდით გავიდა — 2.28,7.

...საინტერესო იყო 9 სექტემბრის შეჯიბრებები. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ფინიშთან მესამე მივიდა ხაბაროვსკელი ვ. კულიკოვი — 1.56,6. ეს შედეგი სსრ კავშირის ახალი რეკორდია. წინ აღმოჩნდა ცურვის ორი სახელგანთქმული ოსტატი, ორივე მსოფლიო რეკორდსმენი — შვედი გ. ლარსონი და გფრ-ის წარმომადგენელი ჰ. ფასნახტი. ეს უკვე მათი მესამე „დუელი“ იყო ფინალში. ფასნახტმა მანამდე ორჯერ წააგო ლარსონთან. ახლა კი მოგება მას ხვდა წილად. მაგრამ საამისოდ კონტინენტის ახალი რეკორდის დამყარება გახდა საჭირო — 1.55,2. ლარსონი გერმანელს 0,5 წამით ჩამორჩა.

200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში სსრ კავშირის გოგონათა რეკორდი განაახლა მოსკოველმა მოსწავლემ ნ. პეტროვამ. მისი შედეგი — 2.29,8 მოზრდილთა საკავშირო რეკორდის გამეორებაა. სამწუხაროდ, ნინას მხოლოდ IV ადგილი ხვდა.

გდრ-ის სპორტსმენები გამოირჩეოდნენ 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში. აქ მათ 0,1 წამით გააუმჯობესეს თავიანთვე ევროპული რეკორდი — 4.30,1.

ახლა რამდენიმე სიტყვა წყალბურთზე. ოთხშაბათს პირველი ექვსი ადგილისთვის ფინალური ტურნირი დაიწყეს უნგრეთის, ჰოლანდიის, სსრ კავშირის, რუმინეთის, იუგოსლავიისა და იტალიის გუნდებმა. ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი — უნგრეთის, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდები, რომელთაც ყველა წინასწარი მატჩი მოიგეს, ფინალში გავიდნენ. მათ უკვე 2-2 ქულა აქვთ: უნგრელებს — ჰოლანდიელებთან, საბჭოთა ნაკრებს — რუმინელებთან, იუგოსლავიელებს — იტალიელებთან გამარჯვებისთვის.

...როცა მოსკოვში უკვე შუაღამე იდგა, ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ჰოლანდიის წყალბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 7:5 (3:1, 1:2, 2:1, 1:1). 9 სექტემბრის დანარჩენი ორი მატჩი ასე დამთავრდა: უნგრეთი — იტალია 8:5 (2:1, 3:1, 1:2, 2:1), იუგოსლავია — რუმინეთი 5:3 (0:1, 4:0, 1:2, 0:0).

სსრ კავშირის რეკორდსმენმა ბატერფლაით 100 მეტრზე ცურვაში, სოჭელმა ვ. ნემშილოვმა წინასწარ გაცურვაში დაამყარა ქვეყნის რეკორდი 200-მეტრიან დისტანციაზეც — 2.07,6. ძველი რეკორდი, რომელიც მოსკოველ ვ. შარიგინს ეკუთვნოდა, გაუმჯობესებულია 0,7 წამით.

საბჭოთა მოცურავეებმა (მოსკოველები ვ. ბურე, ვ. მაზანოვი, ხაბაროვსკელი ვ. კულიკოვი, მოსკოველი ლ. ილიჩოვი) ევროპის ახალი რეკორდი დაამყარეს: მათ ყველას აჯობეს თავისუფალი სტილით 4×100 მეტრზე ესტაფეტაში — 3.32,3. II ადგილზე გავიდა გფრ-ის გუნდი (3.34,1), III — გდრ-ის ნაკრები (3.34,6).

მეორე, ამჯერად ვერცხლის მედალი მოიპოვა 200 მეტრზე ბრასით ცურვაში მოსკოველმა ნ. პანკინმა (2.26,1), რომელიც ადრე პირველი იყო 100 მეტრზე შეჯიბრებაში. გაიმარჯვა კ. კაცურმა (გდრ) — 2.26,0.

200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა მოიგო ვეცკომ, რომელმაც 0,7 წამით გააუმჯობესა თავისივე ევროპული რეკორდი — 2.08,2.

დღეს კონტინენტის კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა ა. დიარმატიმ, რომელმაც 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში 2.25,5 აჩვენა. 16 წლის უნგრელმა ქალიშვილმა 0,7 წამით გააუმჯობესა რეკორდი, რომელიც გუშინ წინასწარ გაცურვაში დაამყარა ინგლისელმა ბიურელმა. მეორე იყო ბ. ჰოფმაისტერი (გდრ) — 2.26,6. სსრ კავშირის ახალი რეკორდით ფინიშთან მესამე მივიდა თბილისელი თ. ლეკვეიშვილი — 2.27,1. თბილისელი მოცურავის დიდი წარმატება 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში სასიამოვნო სიურპრიზი იყო. მით უმეტეს, რომ მას ბრძოლა უხდებოდა ძალიან ძლიერ უნგრელ მოცურავესთან დიარმატისთან. ფინალის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე თავად თინათინმა თქვა, რომ არ ჰქონდა დიარმატის დამარცხების იმედი, თანაც ევროპის ახალი რეკორდით. მაგრამ მე ძალიან ვცდილობდი, — დასძინა დასასრულს სიმპათიურმა თბილისელმა ქალიშვილმა.

ბარსელონა, 11 სექტემბერი. წუხელ სსრ კავშირის წყალბურთელებმა დაამარცხეს იუგოსლავიელები — 4:1.

კოშკიდან ხტომაში I ადგილი დაიკავა მ. დუხკოვამ (ჩეხოსლოვაკია). მოსკოველი გ. ალექსეევა მხოლოდ მეოთხეა.

## მოცურავეთა ტექნიკური შედეგები

**100 მ გულაღმა. ვაჟები.** 1. რ. მათესი (გდრ) — 58,9; 2. ს. ესტევა (ესპანეთი) — 59,9; 3. ბ. სხაუტხენი (ჰოლანდია) — 1.00,4... 8. ვ. კრასკო (სსრ კავშირი) — 1.01,7.

**200 მ კომპლექსური. ქალები.** 1. მ. გრიუნერტი — 2.27,5; 2. ე. შტოლცე (ორივე — გდრ) — 2.29,3; 3. შ. რეტკლიფი (ინგლისი) — 2.29,6; 4. ნ. პეტროვა (სსრ კავშირი) — 2.29,8; 5. ლ. მილენინა (სსრ კავშირი) — 2.30,1.

**200 მ თავისუფალი სტილით. ვაჟები:** 1. ფასნახტი (გფრ) — 1.55,2 (ევროპის რეკორდი); 2. გ. ლარსონი (შვეცია) — 1.55,7; 3. ვ. კულიკოვი (სსრ კავშირი) — 1.56,6 (სსრ კავშირის რეკორდი)... 6. ვ. ბურე (სსრ კავშირი) — 1.58,5.

**კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ. ქალები.** 1. გდრ — 4.30,1 (ევროპის რეკორდი); 2. სსრ კავშირი (თ. ლეკვეიშვილი, გ. სტეპანოვა, ვ. ვახკევიჩი, ტ. ზოლოტნიცკაია) — 4.31,3 (სსრ კავშირის რეკორდი), 3. გფრ — 4.33,4.



# მეგობრები

ესინი თხუთმეტი წლის მეგობრები არიან: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ზ. სახვაძე და სომხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინჟინერი მ. ხაჩატრიანი. პირველი სსრ კავშირის სპორტის ოსტატია სამბოში და საქართველოს სპორტის ოსტატი ეროვნულ ჭიდაობაში. იგი ამავე დროს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოსა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩემპიონის ტიტულებს ფლობს.

მისი სომეხი მეგობარიც სპორტის ოსტატია სამბოში, სომხეთის მრავალგზის ჩემპიონი და „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი.

ზაურმა და მიშამ დიდი ხანია ერთმანეთი გაიცნეს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მეხამეთანრიგოსნები იყვნენ. მას შემდეგ სულ უფრო მტკიცდება მეგობრობის ძაფები. მართალია, საჭიდაო ხალიჩაზე ისინი სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამოდიან, მაგრამ პირადი მაგალითით მუდამ მხარში უდგანან ერთმანეთს.

ზაურ სახვაძემ და მიშა ხაჩატრიანმა ამას წინათაც მიიღეს მონაწილეობა „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც მინსკში ჩატარდა. მეგობრებმა ამჯერადაც არ უღალატეს ტრადიციას და გამარჯვებულნი დაბრუნდნენ შინ.

* * *

სურათზე: ზაურ სახვაძე (მარცხნივ) და მიშა ხაჩატრიანი.

გ. მგალობლიშვილის ტექსტი და ფოტო.

# ჩვენს ქვეყანაში

## იმიერპოლარეთში პირველი

მაგადანი, 9 სექტემბერი. სოფელ ბილიბინოში მუშაობა დაიწყო ჩუკოტკაზე პირველმა ბავშვთა სპორტულმა სკოლამ, რომელშიც 400 გოგო და ბიჭი სწავლობს.

ახალი სკოლის ფილიალის გახსნა განზრახულია სოფელ ანიუისკში. ამ სკოლაში სპორტში დაოსტატდებიან ჩრდილოელები — ჩუკოტკის ძირითადი მცხოვრებნი.

ახლა მაგადანის ოლქში ბავშვთა 10 სპორტული სკოლაა, სადაც რამდენიმე ათასი ბიჭი და გოგო სწავლობს.



სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი „ფინის“ კლასში ვ. პოტაპოვი რიგაში გამართულ საკავშირო პირველობაში ასპარეზობის დროს.

ვ. ნიკოლაევის ტელეფოტო (საკდესი).

# პრიზებიც, პირველობაც

ქართულ ჭიდაობაში თელავის რაიონის პირად-გუნდურმა პირველობამ ამ სახეობის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

სხვა გუნდებთან ერთად ტურნირში მონაწილეობდა თელავის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კოლექტივი, რომლის წარმატებები ცნობილია არა მარტო რაიონული მასშტაბის შეჯიბრებებში, არამედ რესპუბლიკურ ასპარეზობებშიც. ტექნიკუმელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი რეპუტაცია: ისინი გაბედულად, მაღალ ტექნიკურ დონეზე ჭიდაობდნენ; ამიტომ მათი გამარჯვება არავის გაკვირვებია.

ტექნიკუმის წარმომადგენლებმა იმარჯვეს პირად ჩათვლაშიც. რაიონის ჩემპიონები გახდნენ მოსწავლე სპორტსმენები: თ. წითელაური, ჰ. გოგიაშვილი, თ. ხუგაევი, ჯ. ლელაშვილი, დ. ბოტკოველი, მ. ფიცხელაური და ი. ელოშვილი.

ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის მიერ დაწესებული იყო ორი ჯილდო: პერსპექტიული მოჭიდავის პრიზი გადაეცა თ. ხუგაევს, ხოლო ჯილდო საუკეთესო ჭიდაობისთვის — თ. წითელაურს.

**მ. ახალაური.**

თელავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი 1970

## სსრ კავშირის პირველობა

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 12 სექტემბრისთვის

I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კაირათი" (ალმა-ათა) | 30 | 18 | 6 | 6 | 51—19 | 42 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 31 | 16 | 10 | 5 | 42—18 | 42 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 30 | 17 | 6 | 7 | 37—19 | 40 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 30 | 12 | 15 | 3 | 35—18 | 39 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 30 | 14 | 7 | 9 | 43—35 | 35 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 30 | 14 | 6 | 10 | 31—21 | 34 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 30 | 13 | 8 | 9 | 32—24 | 34 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 30 | 13 | 8 | 9 | 27—28 | 34 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 30 | 11 | 10 | 9 | 30—21 | 32 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 30 | 10 | 11 | 9 | 31—24 | 31 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 30 | 10 | 11 | 9 | 30—30 | 31 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 30 | 8 | 12 | 10 | 19—25 | 28 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 31 | 8 | 12 | 11 | 18—25 | 28 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 30 | 11 | 5 | 14 | 28—31 | 27 |
| „ტეკსტილშჩიკი" (ივანოვო) | 30 | 8 | 11 | 11 | 24—36 | 27 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 30 | 9 | 9 | 12 | 22—38 | 27 |
| „პამირი" (დუშანბე) | 30 | 9 | 8 | 13 | 29—38 | 26 |
| ასკ (კიევი) | 30 | 9 | 6 | 15 | 32—36 | 24 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 30 | 7 | 10 | 13 | 26—33 | 24 |
| „დაუგავა" (რიგა) | 30 | 5 | 11 | 14 | 21—37 | 21 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 29 | 6 | 8 | 15 | 20—35 | 20 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 29 | 4 | 6 | 19 | 15—52 | 14 |

მდგომარეობა 12 სექტემბრისთვის

II ჯგუფი

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 30 | 17 | 10 | 3 | 42—19 | 44 |
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 29 | 15 | 11 | 3 | 37—10 | 41 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 30 | 16 | 8 | 6 | 42—22 | 40 |
| „მეტალურგი" (ტულა) | 30 | 14 | 10 | 6 | 55—26 | 38 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 30 | 12 | 11 | 7 | 30—28 | 35 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 30 | 12 | 10 | 8 | 33—32 | 34 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 31 | 10 | 13 | 8 | 32—29 | 33 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 30 | 10 | 12 | 8 | 30—35 | 32 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 30 | 12 | 7 | 11 | 34—35 | 31 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 30 | 10 | 9 | 11 | 36—32 | 29 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 28 | 11 | 7 | 10 | 25—24 | 29 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 30 | 8 | 13 | 9 | 30—30 | 29 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 30 | 11 | 6 | 13 | 33—27 | 28 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 27 | 10 | 7 | 10 | 29—29 | 27 |
| „დილა" (გორი) | 28 | 10 | 7 | 11 | 34—36 | 27 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 30 | 7 | 12 | 11 | 27—37 | 26 |
| „ვოლგა" (გორკი) | 27 | 8 | 8 | 11 | 30—31 | 24 |
| „დინამო" (ბათუმი) | 26 | 8 | 8 | 10 | 20—27 | 24 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 30 | 5 | 13 | 12 | 26—33 | 23 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 30 | 7 | 7 | 16 | 28—44 | 21 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 30 | 4 | 8 | 18 | 16—42 | 16 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 30 | 3 | 9 | 18 | 18—59 | 15 |

10 სექტემბერს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

2 ქულა დაკარგეს ლიდერებმა და ეს ქულები წილად ხვდათ აუტსაიდერებს. მოსკოვის დინამოელებმა შინ მიიღეს „ფახთაქორი". მასპინძლები დაწყნარდნენ, როცა ტაშკენტელთა მცველის პეტუხოვის შეცდომის შედეგად ავრუცკიმ 38-ე წუთზე შეძლო ანგარიშის გახსნა. მეორე ტაიმში სტუმრები აქტიურად იბრძოდნენ და საპასუხო ბურთიც გაიტანეს (ლეონოვი) — 1:1.

ასეთივე ამბავი მოხდა ორჯონიკიძეში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და მოსკოვის სპარტაკელები. მოსკოველი კისელიოვის მიერ 72-ე წუთზე გატანილი გოლი 50 წამის შემდეგ გაქვითა მოზღუხინმა — 1:1.

კიევის დინამოელებმა „შახტიორს" უმასპინძლეს. კიეველთა დიდი უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა — 3:0. ბურთები გაიტანეს პუზაჩმა და მუნტიანმა, ხოლო მესამე ბურთი საკუთარ კარში მოათავსა დონეცკელთა მცველმა დროზდენკომ.

# მაინც ვერ გაიმარჯვეს

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 9 სექტემბერი.

„ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (თბილისი) 0:0.

„ჩერნომორეცი": იარჩუკი, ნეჩაევი, რეშკო, ფაიდმანი, სირომიატნიკოვი, მასლოვი, საპოჟნიკოვი, მიხაილინი, პორკუიანი, სეკეჩი (ბოსი), ზვენიგოროდსკი (პროკოპენკო).

„დინამო": სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, მაჩაიძე, კუტივაძე (მჭედლიშვილი), ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი პ. გავრილიადი (სოჭი).

დუბლიორთა შეხვედრა არ შემდგარა.

ტაიმმა ისე განვლო, რომ მინდორზე დიდი არაფერი მომხდარა. აღსანიშნავია მხოლოდ მომენტი, როცა ზვენიგოროდსკის გარღვევის შემდეგ პორკუიანს შეექმნა ბურთის გატანის ასპროცენტიანი შანსი, მაგრამ ამ გამოცდილმა ფორვარდმა ხელიდან გაუშვა ეს რეალური შესაძლებლობა. ტაიმის დასასრულამდე „ჩერნომორეცს" კიდევ ჰქონდა რამდენიმე სახიფათო იერიში, მაგრამ მათი უგუნებელყოფა თბილისელებს არ გაჭირვებიათ.

საგრძნობლად გამოცოცხლდა თამაში შესვენების შემდეგ. დინამოელებმა უმატეს ტემპს, ამოქმედდნენ თავდამსხმელები, განსაკუთრებით, მარცხენა გარემარბი ლ. ნოდია. მე-10 წუთზე იარჩუკმა თავისი გუნდი იხსნა აშკარა გოლისგან კუტივაძის დარტყმის შემდეგ. „ჩერნომორეცის" მეკარეს კიდევ მოუხდა ძალიან ხიფიში ბურთის აღება.

შუა ტაიმში ოდესელებმა შეძლეს მდგომარეობის გათანაბრება, მაგრამ მატჩის დასასრული კვლავ დინამოელთა იერიშებით აღინიშნა. მიუხედავად ამისა, მათ მაინც ვერ შეძლეს გამარჯვების მოპოვება და ქულას დასჯერდნენ.

ო. ბუჩმა.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# მდგომარეობა გართულდა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 10 სექტემბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) 1:3 (1:2).

„ტორპედო": გოგია, ჩხაიძე, წყერავა, ჭოხონელიძე, შერგელაშვილი (ქიქავა), ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, ვეკუა (სანაია), ჩიტაური, ხერხაძე, ანფიმიადი.

„ზარია": ტკაჩენკო, შულჟენკო, ჟურავლიოვი, პინჩუკი, ვასენინი, ფომენკო, კუზნეცოვი, სემიონოვი, ლისაკოვსკი, კუკსოვი, შილინი (ფურსოვი).

მსაჯი ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:1 „ზარიას" სასარგებლოდ.

გათამაშების ამ გადამწყვეტ ეტაპზე ქუთაისელებს „ზარიას" სახით ძლიერი მეტოქე ჰყავდათ. ვოროშილოვგრადელებს საუკეთესო მდგომარეობა აქვთ სატურნირო ცხრილში. მათ წაუგებლად ჩაატარეს ზედიზედ 8 კალენდარული შეხვედრა და სწორედ ქუთაისში ჩამოსვლის წინ დიდი ანგარიშით დაამარცხეს მოსკოვის „ტორპედო" — 4:1.

ცხადი იყო, რომ ჩვენს გუნდს მძიმე გამოცდა მოელოდა და ეს ვარაუდი გამართლდა კიდეც. სტუმრებმა ძალიან ძლიერად ითამაშეს და 2 ქულაც დამსახურებულად აიღეს, თუმცა ქუთაისელ ფორვარდებს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ კარში გადამწყვეტი დარტყმების დროს, ეჭვი არაა, თავისუფლად შეიძლებოდა თუნდაც ქულის გადარჩენა.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ვოროშილოვგრადელები თამაშობდნენ უფრო ორგანიზებულად, სწრაფი, კარგად ჩაფიქრებული გარღვევებით.

მატჩის მსვლელობაზე დიდი გავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ „ზარიამ" მე-2 წუთზე შეძლო ანგარიშის გახსნა. ლისაკოვსკი დაუცველად დატოვეს კარის წინ და მან ზუსტად გამოიყენა კუზნეცოვის გადაცემა — 1:0.

მართალია, ეს გოლი სულ ცოტა ხანში გაქვითა ერქომაიშვილმა, მაგრამ სტუმრებს გული არ გასტეხიათ — მათ ძლიერად ითამაშეს როგორც დაცვაში, ისე შეტევის დროსაც.

მე-15 წუთზე წყერავას დარტყმის შემდეგ სტუმართა კარი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ტკაჩენკომ აკრობატული ნახტომით გადაარჩინა თავისი გუნდი. 23-ე წუთზე შულჟენკომ და შილინმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, რაც ამ უკანასკნელის მიერ გატანილი მეორე გოლით დამთავრდა — 2:1.

შესვენების შემდეგ ტორპედოელები ხშირად და სახიფათოდ უტევდნენ, „ზარიას" კართან ბევრი სახიფათო მომენტიც შეიქმნა, საუკეთესო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ხერხაძე, ჩიტაური, ანფიმიადი, ქიქავა...

და მაშინ, როცა მაყურებლები საპასუხო ბურთს წუთი-წუთზე მოელოდნენ სტუმრების კარში, ვოროშილოვგრადელებმა შეძლეს მოულოდნელი კონტრშეტევის განხორციელება, კუზნეცოვი შეიჭრა „ტორპედოს" საჯარიმო მოედანზე და კარში მესამე ბურთი გაგზავნა, რომლის აღება გოგიამ ვერ შეძლო — 3:1.

ამ წაგების შემდეგ ტორპედოელთა მდგომარეობა ისევ გართულდა.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

უმაღლესი ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 24 | 10 | 10 | 4 | 38—20 | 30 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 23 | 12 | 6 | 5 | 31—15 | 30 |
| ცსკა | 22 | 12 | 4 | 6 | 31—14 | 28 |
| „დინამო" (კიევი) | 23 | 12 | 4 | 7 | 26—17 | 28 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 23 | 9 | 9 | 5 | 24—20 | 27 |
| „დინამო" (თბილისი) | 21 | 10 | 6 | 5 | 28—16 | 26 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 23 | 6 | 13 | 4 | 20—15 | 25 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 22 | 9 | 7 | 6 | 25—25 | 25 |
| „არარატი" (ერევანი) | 22 | 9 | 5 | 8 | 22—22 | 23 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 24 | 6 | 9 | 9 | 17—35 | 21 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 20 | 6 | 8 | 6 | 18—14 | 20 |
| „დინამო" (მინსკი) | 22 | 6 | 8 | 8 | 24—22 | 20 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 24 | 4 | 10 | 10 | 17—24 | 18 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 23 | 6 | 6 | 11 | 22—42 | 18 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 23 | 5 | 6 | 12 | 18—35 | 16 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 21 | 4 | 7 | 10 | 14—24 | 15 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 24 | 4 | 6 | 14 | 22—37 | 14 |

# ლიდერთა შეხვედრა

9 სექტემბერს ფოთის სტადიონზე გაიმართა საინტერესო შეხვედრა ადგილობრივი „კოლხეთისა" და ეშერის „ტორპედოს" გუნდებს შორის. მეტოქეები თავიანთი ქვეჯგუფის ლიდერთა შორის არიან და ამიტომ მატჩის შედეგს ორივე კოლექტივისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ფოთელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და ზედიზედ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს ტორპედოელთა კართან. 23-ე წუთზე მეკარე იაგლომ შეძლო ალმასიას ძალიან ძნელი ბურთის აღება. ასეთი მომენტი შემდგომშიც რამდენიმე შეიქმნა და მათგან შედეგიანად დამთავრდა მხოლოდ ერთი: 41-ე წუთზე სიჭინავამ ზუსტი დარტყმით დაასრულა პარტნიორებთან გათამაშებული კომბინაცია — 1:0.

სტუმრებმა კარგად ჩაატარეს მეორე ტაიმი. 78-ე წუთზე აგიბალოვმა ისარგებლა მოპირდაპირე დაცვაში დაშვებული შეცდომით და გაქვითა გოლი — 1:1.

მატჩის დასასრულს უპირატესობა კვლავ „კოლხეთს" ჰქონდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში უზუსტოდ ითამაშეს ალმასიამ, სიჭინავამ, არზიანმა.

ბ. ბასილაია.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

II ჯგუფი

II ზონის I ქვეჯგუფი

სხვა მატჩები

9 სექტემბერს ჩატარებულ სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „მეტალურგი" (რუსთავი) — „კახეთი" (თელავი) 1:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „მეშახტე" (ტყიბული) 2:2, „მერცხალი" (მახარაძე) — „დინამო" (სოხუმი) 3:2, „სულორი" (ვანი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 1:0, „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) — „სპარტაკი" (სარანსკი) 1:0, „სპარტაკი" (რიაზანი) — „მეტალურგი" (კრასნი სულინი) 2:0, „სპარტაკი" (ტამბოვი) — „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) 0:2.

# თასი ევროპაში დარჩა

როტერდამი, 10 სექტემბერი. ჰოლანდიის „ფეიენოორდის" ფეხბურთელთა გუნდმა საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. გუშინ აქ გამართულ საპასუხო მატჩში ჰოლანდიელებმა მწვავე ბრძოლაში სძლიეს სამხრეთ ამერიკის უძლიერეს საკლუბო გუნდს — ლა პლატის „ესტუდიანტესს" — 1:0. ეს გადამწყვეტი ბურთი სტუმართა კარში 65-ე წუთზე გაიტანა „ფეიენოორდის" მარცხენა გარემარბმა ვან დალემ.

როგორც ცნობილია, ამ გუნდების პირველი შეხვედრა, რომელიც ორი კვირის წინათ გაიმართა ბუენოს-აირესში, ფრედ (2:2) დამთავრდა.

ამრიგად, მსოფლიოს საკლუბო გუნდების ყველაზე საპატიო პრიზი ზედიზედ მეორე წელია ევროპაში გამოიზამთრებს. ოღონდ ახლა იგი მილანის ნაცვლად როტერდამში დაიდებს ბინას.

გავახსენებთ საკონტინენტთაშორისო თასის წინანდელ მფლობელებს:

1960 წ. — „რეალ-მადრიდი" (ესპანეთი);

1961 წ. — „პენიაროლი" (ურუგვაი);

1962 და 1963 წ.წ. — „სანტოსი" (ბრაზილია);

1964 და 1965 წ.წ. — „ინტერნაციონალე" (იტალია);

1966 წ. — „პენიაროლი" (ურუგვაი);

1967 წ. — „რესინგი" (არგენტინა);

1968 წ. — „ესტუდიანტესი" (არგენტინა);

1969 წ. — „მილანი" (იტალია).

* * *

„ფეიენოორდი" თავისი ქვეყნის ჩემპიონატშიც კარგად თამაშობს. მორიგ ტურში მან ანგარიშით 2:1 დაამარცხა „გო ეჰედი" და ჯერჯერობით წაუგებლად ასპარეზობს: 6 ქულა აქვს 6-დან. თუმცა, 3 ტურის შემდეგ ამდენივე ქულა აქვთ „სპარტასა" და „ადოს". ამ უკანასკნელმა დაამარცხა (1:0) ჰოლანდიის ახლანდელი ჩემპიონი „აიაქსი", რომელიც ერთბაშად VI ადგილზე გადაბარგდა.

# „მეგობრობის ტურნირი"

ვარშავა, 10 სექტემბერი. ჭაბუკ ფეხბურთელთა „მეგობრობის ტურნირის" ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან რუმინეთის გუნდი და პოლონეთის მეორე ნაკრები. III და IV ტურებში სსრ კავშირის ჭაბუკებმა ფრედ (0:0) ითამაშეს გდრ-ის გუნდთან და ანგარიშით 4:0 აჯობეს კატოვიცელ თანატოლებს. პოლონეთის მეორე ნაკრებმა კი მოუგო გდრ-ის ჭაბუკებს (2:0), ხოლო რუმინელებმა აჯობეს უნგრელებს — 3:1.

# უ. ზეელერის რეკორდი

ნიურნბერგი, 10 სექტემბერი. IX მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა — გფრ-ის ნაკრებმა აქ ანგარიშით 3:1 (2:0) დაამარცხა უნგრეთის ეროვნული გუნდი.

ანგარიში მე-11 წუთზე გახსნა ზიელოფმა, 10 წუთის შემდეგ კი მექსიკური ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა მიულერმა სტუმართა კარში მეორე ბურთი გაიტანა. სულ მალე უნგრელმა თავდამსხმელმა, 23 წლის ფაზეკაშმა მეტოქეს ცენტრიდან დააწყებინა თამაში.

52-ე წუთზე გფრ-ის ნაკრების კაპიტანმა ზეელერმა, რომელიც ამ დღეს თავის 72-ე მატჩს ატარებდა ნაკრების შემადგენლობაში (ეს გფრ-ის ფეხბურთელთა რეკორდია), ხანგრძლივი დარტყმისთვის საუცხოოდ გაიყვანა მიულერი და ანგარიშიც 3:1 გახდა.

# 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატში

პელე არაერთხელ გამოსუ-ლა ოფიციალური განცხადებით პრესაში იმის თაობაზე, რომ თუ ფეხბურთი მომავალშიც უხეშობისა და ძალისმიერი თამაშის გზით წარიმართა, იგი თავს დაანებებდა მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობას. ეს სიტყვები პირველად მან თქვა ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში, როცა არაერთხელ იწვნია უხეში თამაშის სიმწვავე.

მაგრამ პელემ, როგორც იცით, ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა მექსიკის ჩემპიონატში, თავისი გუნდის წამყვანი წევრი იყო და ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის სახელიც დაიმსახურა.

სულ ახლახან პელე ვენესუელაში გახლდათ და კარაკასში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განუცხადა ჟურნალისტებს:

— განზრახული მაქვს 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატშიც ვითამაშო. თუ სპორტსმენი ყურადღებას აქცევს საკუთარ თავს, სპორტულ ფორმას, თავისუფლად შეუძლია ითამაშოს 35 წლის ასაკამდე. მართალია, მე ვთქვი, რომ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ თავს დავანებებდი ფეხბურთს, მაგრამ ბრაზილიის გამარჯვებამ ახალი ძალები შემმატა და ამიტომ მოვემზადები შემდგომი ტურნირისთვის, რათა ჩემს გუნდს უძლიერესის ტიტულის შენარჩუნებაში მოვეხმარო.

# გიმოვეცის ქანდაკება მეხიკოში

სულ მალე მეხიკოში, ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის პროსპექტზე, აღიმართება ჟიულ რიმეს თასის მაძიებელი 16 გუნდის საუკეთესო ფეხბურთელთა ნატურალური სიდიდის ქანდაკებები. ღირსეული ფეხბურთელები შეარჩიეს სპეციალური რეფერენდუმის შემდეგ, რომელიც მექსიკის სხვადასხვა სატელევიზიო კომპანიამ მოაწყო.

რეფერენდუმის საბოლოო შედეგები ჯერ არ არის დაზუსტებული, მაგრამ, როგორც მექსიკის პრესა იუწყება, ქვემოთ მოყვანილ სიაში არავითარი ცვლილება აღარ მოხდება.

აი, ვინ დაასახელეს მექსიკელმა ტელემაყურებლებმა: პელე (ბრაზილია), რივერა (იტალია), ბეკენბაუერი (გფრ), მონტერო (ურუგვაი), ბიშოვეცი (სსრ კავშირი), ვალდივია (მექსიკა), კუბილასი (პერუ), მური (ინგლისი), სვენსონი (შვეცია), დემბროვსკი (რუმინეთი), ლამბერტი (ბელგია), შპიგლერი (ისრაელი), ბონევი (ბულგარეთი), კასონი (მაროკო), კუნა (ჩეხოსლოვაკია), მარტინესი (სალვადორი).

# ელოდეთ იერიშს მარჯვნიდან

ევროპის ბალახის ჰოკეის ფედერაციებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს კონტინენტის პირველი ჩემპიონატის მიმართ, რომელიც 19-27 სექტემბერს ჩატარდება ბელგიაში. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 19 ნაკრები გუნდი. ეს ცოტა არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ, მაგალითად, ჭიდაობაში, თანამედროვე ხუთჭიდსა ან ტანვარჯიშში ევროპის ჩემპიონატებში საუკეთესოდ 15 კოლექტივზე მეტი არ იყრის თავს. ბალახის ჰოკეის მიმართ ასეთი ინტერესი იმ გარემოებამ განაპირობა, რომ პირველი ოთხი უძლიერესი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის უფლებას მოიპოვებს (1971 წელი, პაკისტანი), რვა უძლიერესი კი 1972 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურს მიიღებს.

ბრიუსელში, სადაც კონტინენტის ჩემპიონატი ჩატარდება, ბრძოლა ძალიან დაძაბული იქნება თუნდაც იმიტომ, რომ გუნდები ათ დღეში 7-7 მატჩს გამართავენ. ნაკრები კოლექტივები ოთხ ქვეჯგუფად არიან დაყოფილი. მეორე ქვეჯგუფში, სადაც სსრ კავშირის ნაკრები გამოვა, ითამაშებენ ინგლისის, ჰოლანდიის, ავსტრიისა და დანიის ჰოკეისტები. თითოეული ქვეჯგუფიდან ორი უძლიერესი გუნდი ფინალის საგზურს მიიღებს.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა გუნდს ყველაზე ნაკლები სტაჟი აქვს საერთაშორისო სარბიელზე. გუნდის წევრთა უმეტესობა მანამდე ბურთიან ჰოკეის თამაშობდა. აქ კი მათ დიდი გამოცდილება ჰქონდათ.

იმის გამო, რომ ბალახზე ჰოკეიში ბურთზე დარტყმა მხოლოდ ყავნჯის ერთი მხარით შეიძლება, ყველა გუნდი ცდილობს იერიშები მარჯვენა ფლანგიდან წარმართოს. ფეხბურთისგან განსხვავებით, ბალახზე ჰოკეიში დიდად შედეგიანია კუთხური დარტყმა: როგორც წესი, 10-დან 7-8 მოწოდება გოლით მთავრდება. აი, რატომაა, რომ ყოველ გუნდში რამდენიმე მოთამაშე საგანგებოდ კუთხურ დარტყმებშია დასპეციალებული. ამ ჰოკეისტთა უნარზე ბევრი რამაა დამოკიდებული და ნაკრებ გუნდებში მათ განსაკუთრებულ პატივს სცემენ.

კონტინენტის საუკეთესო კოლექტივების მომავალ შეჯიბრებაში ჯერჯერობით ფავორიტებად ითვლებიან ჰოლანდიის, გფრ-ისა და ესპანეთის ჰოკეისტები. მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნა ჟურნალ „უორლდ ჰოკეის“ მიმომხილველმა, აუცილებელია გავითვალისწინოთ სოციალისტური ქვეყნების ნაკრები გუნდებიც, „რომლებსაც ყველა პროგნოზის გაქარწყლების უნარი შესწევთ“.

საერთაშორისო სარბიელზე მოდის ტრადიციულ კანონმდებლებად ითვლებიან ინდოეთისა და პაკისტანის ჰოკეისტები — გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები ყველა ოლიმპიადაში. ახლა მათს პოზიციებს საფრთხე ემუქრება ევროპელთა სახით. მაგალითად, ბომბეიში ტურნირი გფრ-ის ჰოკეისტებმა მოიგეს, II ადგილი კი ჰოლანდიელებს ხვდათ. ინდოელებმა ორი ნაკრები გამოიყვანეს, მაგრამ წარმატება [illegible] უნდა, ამხანაგური შეჯიბრებების მიხედვით არ შეიძლება ითქვას, რომ ევროპელები აზიელებს უკვე გაუტოლდნენ ოსტატობით. მაგრამ გუნდების აქტიური მეტოქეობა უკვე საგრძნობლად ზრდის ინტერესს ევროპის პირველი ჩემპიონატის ბატალიებისადმი.

ე. ზირუნი.
(საკდესის კორ.).

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ნაკრები გუნდი (მარცხნიდან) — ე. გერასიმოვი, ვ. ზამარაევი, ს. ლაპინი, ვ. ბოჩკოვი, ი. ვარშინი, ა. ლიზავინი, ა. პონკინი, ვ. პერეპითლოვი, ვ. პლავუნოვი, ა. პავლოვსკი, ე. გორბაჩოვი.

ვ. უნ და-სინის ფოტო (საკდესი).

# ამერიკული სპორტის ჯუნგლებში

ამერიკის პროფესიონალ ბეისბოლისტთა გუნდის „ფილადელფია ფილიზის“ 27 წლის მოთამაშეს ჰენკ მაკგროუს, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ, ამ სეზონის მატჩებში მონაწილეობა აუკრძალეს. სპორტსმენმა ცივი უარი თქვა, როცა მოსთხოვეს თმა შეეჭრა გუნდის მეპატრონეთა შემოღებული ახალი წესების თანახმად. მაკგროუმ განაცხადა, რომ თმა (დაახლოებით 7-8 სანტიმეტრის სიგრძისა) სულაც არ უშლის ხელს თამაშის დროს და არც მის სპორტულ გარეგნობაზე ახდენს გავლენას.

მაგრამ გუნდის მეპატრონეები, როგორც ჩანს, სულ სხვა ამბით არიან შეშფოთებული. საქმე ისაა, რომ ამ ბოლო ხანს გრძელ თმას სულ უფრო ხშირად ატარებენ ამერიკელი სტუდენტები, რომლებიც აქტიურად გამოდიან ვიეტნამში ომისა და შეერთებულ შტატებში ცხოვრების მილიტარიზაციის წინააღმდეგ.

* * *

როცა „ოლ-სტარზის“ ნაკრები სტუდენტური გუნდი პროფესიონალ ფეხბურთელთა კოლექტივთან — „კანზას-სიტის“ გუნდთან შესახვედრად ემზადებოდა, მწვრთნელებს წარმატების დიდი იმედი ჰქონდათ. მათ საიდუმლოდ ჩაიფიქრეს თამაშის ახალი სქემა და ფიქრობდნენ, რომ ამ ახალი გეგმის დახმარებით ერთბაშად გატეხდნენ კანზასელთა წინააღმდეგობას. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა მოთამაშეებმა სწრაფად აითვისეს ეს საიდუმლო ხერხები.

მით უფრო საოცარი იყო, რომ თამაშის მსვლელობის დროს არც ერთი ჩაფიქრებული კომბინაცია არ განხორციელებულა. კანზასელ მოთამაშეთა საპასუხო ტაქტიკამ წელში გატეხა სტუდენტთა გუნდი.

თამაშის შემდეგ „ოლ-სტარზის“ მწვრთნელებმა გამარჯვებულებს გამოჰკითხეს მათი წარმატების საიდუმლო. „განა არ მიგიქცევიათ ყურადღება მუშისთვის, რომელიც თქვენი წვრთნის დროს დარბაზში ელექტრონათურებს ცვლიდა? მის დაუხმარებლად როგორ შევიტყობდით თქვენს ტაქტიკურ ჩანაფიქრს?“ — უპასუხეს კანზასელებმა.

* * *

ამერიკის ცნობილი სპორტული გუნდების წამყვანი მოთამაშეები ხშირად უბრალო თოჯინები არიან ნოემბრის არჩევნების შედეგებით დაფიქრებულ პოლიტიკოსთა ხელში. შეერთებულ შტატებში პოპულარულ სპორტულ ვარსკვლავებს ამომრჩეველთა მისაზიდად იყენებენ, რაც ზოგჯერ თვით მოთამაშეებმა არც კი იციან.

მაგალითად, ნიუ-იორკის პროფესიონალ კალათბურთელთა კლუბის „კნიკერბოკერის“ ვარსკვლავი უ. ფრეიზერი იძულებული იყო საქვეყნოდ განეცხადებინა პროტესტი იმის გამო, რომ მისი გვარი გამოყენებული იყო ნიუ-იორკის შტატის ამჟამინდელი გუბერნატორის ნ. როკფელერის წინააღმდეგ, რომელმაც კვლავ წამოაყენა თავისი კანდიდატურა ამ პოსტზე.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ წერს, ნიუ-იორკის ჰოკეისტთა გუნდის „რეინჯერის“ კერპმა რ. ჯილბერტმა 100 დოლარი მიიღო მხოლოდ იმისთვის, რომ 20 წუთით დაესწრო იმავე როკფელერის წინასაარჩევნო კრებას.

ამავე დროს, როცა ლაპარაკია იმ კანდიდატთა მხარდაჭერაზე, რომელთა პროგრამაც კლუბების მეპატრონეებს ჭკუაში არ უჯდებათ, ამერიკის სპორტის მესვეურები ყოველმხრივ ზღუდავენ სპორტსმენთა მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კერძოდ, პრესა იუწყება, რომ ნიუ-იორკის პროფესიონალ სპორტსმენთა გაერთიანებამ („ოლ-სტარზ სპორტსი“) უარყო თხოვნა ანტისამხედრო შეხედულებებით ცნობილი სენატორ-დემოკრატის ე. კენედის წინასაარჩევნო კამპანიის მხარდაჭერის შესახებ.

* * *

ვაშინგტონელი გულშემატკივრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ დედაქალაქის სტადიონზე ბილეთების ფასი განუწყვეტლივ იზრდება. ეს არც გასაკვირია: ახლა ბილეთი ღირს 2 დოლარი და 25 ცენტი — 6 დოლარი.

და მაინც, ვაშინგტონელი გულშემატკივრები ყველაზე დაჩაგრული როდი არიან შეერთებულ შტატებში. ფლორიდის შტატის ცენტრალურ სტადიონზე შესასვლელი ბილეთი, მაგალითად, 7 დოლარი ღირს. თუ გულშემატკივარს სურს პირველ რიგებში დაჯდეს, მან ყოველწლიურად „ნებაყოფლობითი შესაწირავის“ სახით უნდა გადაიხადოს კიდევ 40 დოლარი...

ე. ბასკაკოვი.
(საკდესის კორ.).

ნიუ-იორკი.

რედაქტორი მ. ბაკაბაძე.




# ბერგმარკი გადადგა

40 წლის ო. ბერგმარკი, რომელიც ხუთი სეზონის განმავლობაში სათავეში ედგა შვეციის ნაკრებს, თანამდებობიდან გადადგა. შვეციის ფეხბურთის ფედერაციის სპეციალურმა კომისიამ მიიჩნია, რომ ეროვნულ ნაკრებს შეეძლო გაცილებით უკეთესი შედეგით გამოსულიყო მსოფლიო ჩემპიონატში.

კომისიის აზრით, შეცდომები დაშვებული იქნა ორგანიზაციულ საკითხებში, შემადგენლობის შერჩევაში და ა. შ.

# ვიტლაჩილი — „ლევსკის“ მწვრთნელი

გამოჩენილი ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტი, რ. ვიტლაჩილი სათავეში ჩაუდგა ბულგარეთის პირველი ლიგის კლუბ „ლევსკის“. ვიტლაჩილმა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს ვერცხლის მედლები აღებინა 1962 წელს ჩილეში, ასეთივე წარმატება იზეიმა 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირში, ხოლო 1966 წელს ბულგარეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპში გაიყვანა.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე—93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები—93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-98-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. ჭ/ უე 10553